ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3544258

ნომერი: AR1533130

თარიღი : 16.08.2017

გაცემის თარიღი : 18.09.2017

გაცნობის თარიღი : 19.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17/4 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 16 აგვისტოს AR1533130 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“-ს 2017 წლის 17

აგვისტოს სხდომაზე სადაც მიიღო უარყოფითი შეფასება, შემდეგი რეკომენდაციებით:
• საჭიროა დამუშავდეს კომპლექსის ქალაქგეგმარებით-მოცულობითი გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტი სასტუმროს ნაწილის ბანკის მიმდებარედ განთავსებით.
• სასტუმროს მოცულობა დასაწევია უკან. დასაკორექტირებელია ბანკის შენობის საფასადე სახე.
• ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტა შესაცვლელია.
• იხ. წინა ოქმის რეკომენდაცია. სასტუმროს სიმაღლეში გაზრდის გარეშე.
ასევე საკითხი განხილულ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“ 2017 წლის 17 აგვისტოს სხდომაზე და მიეცა უარყოფითი შეფასება ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დ. აბაშიძის ქ. N17/4-ში, დ. აბაშიძის ქ. N17-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.001.017, 01.16.05.001.006) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებაზე, შემდეგი რეკომენდაციებით:
• მოიძებნოს ახალი სივრცითი გადაწყვეტის პრინციპი.
• მოიძებნოს სხვა კონფიგურაცია.
• მოიძებნოს მოცულობის განთავსების ალტერნატიული ვარიანტი. მაქსიმალურად შენარჩუნდეს ხე-ნარგავები.
• უნდა მოიძებნოს ტერიტორიაზე მოცულობათა ისეთი ვარიანტი, რომ არსებული რეკრეაციული სივრცე მაქსიმალურად გაიხსნას სანაპიროს ქუჩიდან.
• მოიძებნოს ისეთი სივრცითი დაგეგმარების პრინციპი, რომლითაც მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნება არსებული ხე-ნარგავები. პარკის არეალი გაიხსნას სანაპიროს მხარეს და საპროექტო მოცულობები დაგეგმარდეს ბანკის შენობის უკან, ერთიანი კომპლექსის ფარგლებში. ბანკის შენობა მოიწიოს სანაპიროს მხარეს.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.